

n 22/656

PX 4690/1



„სიყვარულის ცეკვა“, ტილო/ზეთი, 50x50, 2009

გარეკანი: „ქორწილი“, ტილო/ზეთი, 90x70, 2008

საქართველოს პარლიამენტის ეროვნული მუზეუმი
 III კორპუსი, ვუდიაშვილის ქ. 7, თბილისი, 0107
 ტელ.: +995 (32) 297 16 61; 297 16 14

საკოლექციო ხელოვნების გალერეა DiDi
 ქ. სანტა-პეტერბურგი, ვასილის კუჩბულის დიდი
 პროსპექტი, 62-ე სახლი, 199106
 ტელ.: +7 (812) 320 73 57 | www.didigallery.com



DiDi
 art gallery

ლევან მოსიაშვილი DiDi art gallery
 შეყვარებული საქართველო





ლევან მოსიაშვილი: “შეყვარებული საქართველო”

დიდი კეთილი თვალები, უშფოთველი პოზები, ხასხასა ტანსაცმელი. ნორჩი ქართველი მწყემსი ორ ბატკანთან ერთად აცეკვებულა, თან დარდიმანდულ ხალხურ სიმღერას უკრავს სალამურზე. ნათევზავებით კმაყოფილ სამმეთევზეს უზარმაზარი მომღიმიანი ცისფერი თევზი მოაქვს. ალისფერ კაბაში გამოწყობილი ქართველი ლამაზმანი მწიფე ყურბენს კრეფს. მზის სხივებში გახვეული შეყვარებულები თითქოს სამყაროს კიდებზე სხედან, ხელეგადაჭდობილინი, მზერაგადაჭდობილინი... ეს გულუბრყვილოდ კეთილი, სუფთა, ნათელი სამყარო ლევან მოსიაშვილის მიერ შექმნილი სამყაროა.

მხატვარი 1971 წელს თბილისში დაიბადა. საქართველოს ნოყიერი მიწა, წყალუბრი მდინარეები, თვალწარმტავი ხეობები და მთები, მდიდარი ისტორიისა და კულტურის მქონე საშობლო მისთვის შთაგონების ამოუწურავ წყაროდ იქცა. მოსიაშვილს სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. მისი პირველი მასწავლებელი მამა იყო, თავადაც ცნობილი მხატვარი. თუმცა პირველი გაკვეთილი მომავალმა ხელოვანმა თავად ბუნებისგან მიიღო. ალბათ, ამიტომაა, რომ მის შემოქმედებაში მთავარი შინაარსი და განწყობა და არა ფორმის სერუპულიზირი დამუშავება. მის პრიმიტივისტულ პრინციპებზე აგებულ სამყაროში თითქმის არ არის არც შუქ-ჩრდილი და არც პერსპექტივა, სამაგიეროდ რამდენი სიცოცხლე და ხალისია! ნათელი ფერები, მკაფიო კომპოზიცია და უზრალო სიუჟეტები - ასეთია მისი ქართული პერიოდის ძირითადი ნიშნები.

ლევან მოსიაშვილის ნამუშევართა თემატური და ხატოვანი საფუძველი ქართული ხალხური ყოფაა. მისი პერსონაჟები უზრალო ადამიანები არიან, რომლებიც მიწაზე მუშაობენ, ცხოველებს აშენებენ, თევზაობენ, ერთობიან, უყვარდებთ, შვილებს ზრდიან. სიუჟეტური სამყარო მოკლებულია სიწვევესა და დაძაბულობას, სამაგიეროდ

განმსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, ხალხური სიმრძინითა და ქრისტიანული მორალით. მხატვარი ზედმეტად რთულ კითხვებს არ სვამს, არავის არაფერში ამბულს, გამოსაწინააღმდეგებ არ გვთავაზობს. მისი მოწოდება ნათელია: დატკბი ყოველი წამით, გიყვარდეს შრომა, გიყვარდეს ადამიანები, გიყვარდეს სიცოცხლე. მოსიაშვილის ტილოებში ჩვენ წინაშე იშლება უტოპიური, მშვიდი სამყარო, რომელშიც ყველაფერი მარტივი და ნათელია, ყოველგვარი ამაოების გარეშე.



“მოცეკვავე გოგონა”, ტილო/ზეთი, 90x70, 2007

საინტერესოა, რომ სოფლის ცხოვრების სცენების, დროსა და სივრცის მიღმა მცხოვრები „მიწიერი ხალხის“ გვერდით მხატვრის უფრო გვიანდელ ნამუშევრებში ჩნდებიან ჩვენი თანამედროვენიც: მიღურ კაბებსა და თავსაბურავებში გამოწყობილი, რესტორნებში მოსადილე და ავტომობილებით მოსივრე ქალაქელები. ეს ახალი რეალობა, ერთი მხრივ, კონტრასტს ქმნის წინა პერიოდის ხალხურ სახეობთან, მეორე მხრივ კი, საერთო გამომსახველობითი ენისა და გააზრების წყალობით ეს აქტუალური მოვლენები ერთგვარ უნივერსალურ კონტექსტში ექცევა. ხელოვანი თითქოს გვეუბნება, რომ დრო გადის, ცხოვრება იცვლება, მაგრამ, ახალი ჩაცმულობისა თუ წეს-ჩვეულებების მიუხედავად, ცხოვრების ჭეშმარიტი საფუძვლები უცვლელია. ლევან მოსიაშვილის ვანრულ ნამუშევრებთან დაკავშირებით სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ მან არა მარტო განუყოფილები ხატოვანი სამყარო შექმნა, არამედ ხელოვანის მთავარ ფორმალურ მიზანსაც მიაღწია: გამოიმუშავა თავისი ინდივიდუალური, ცნობადი ხელწერა. განსაკუთრებული



„ბედნიერი დღე“, ტილო/ზეთი, 50x60, 2005

ტექნიკით - რომლის საიდუმლოსაც ლევანი არ ამხელს - შერეულბუნად ტილოები არც ერთი სხვა მხატვრის ნამუშევრებში არ აგერევა, მიუხედავად იმისა, თუ ვინაა გამოსახული - მეღვინეები, მთიანეები თუ „ღამის გოგონები“.

2008 წლამდე მოსიაშვილი საქართველოში ცხოვრობდა და ქართული ხალხური ცხოვრების თემაზე ქმნიდა ნაწარმოებებს. ეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი პერიოდი იყო. შემდეგ ლევანი საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა და მის შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ოსტატის შემოქმედებითი ინტერესების სფერო კანონზომიერად გაფართოვდა და შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვე ევროპულ სახელოვნებო ტენდენციებთან. თავისუფალი ცხოვრების განცდა კი ფუნჯის თავისუფლებად ტრანსფორმირდა. მხატვარი აბსტრაქციამ გაიტაცა, რის შედეგადაც მის შემოქმედებაში ორგანულად შეერწყა ერთმანეთს



„გასეირნება“, ტილო/ზეთი, 50x80, 2009

კავკასიური ხალხური და მსოფლიო სახელოვნებო ტრადიციები. ვანრული სცენებისგან განსხვავებით აბსტრაქტული კომპოზიციები საერთო ცნობად სტილს მოკლებულია, თუმცა მათ აერთიანებს სითამაშე, ენერგიულობა, ფერისა და ფორმის ძიების თავისუფლება. მხატვარს ექსპერიმენტების არ ეშინია. მის აბსტრაქციებშიც ნამდვილი ცხოვრება იგრძნობა, რადგან მათი შთაფლანების წყაროც ბუნების ხატვია: ღრუბლების უჩვეულო ფორმები, მრავალფერი ცა, შზის ათინათებითა და ანარეკლებით აჭრელბული წყლის ცვალებადი ნაკადი, ლანდშაფტის, მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნება.

„შეყვარებული საქართველო“ - ამ სახელწოდებაში ხაზგასმულია არა მხოლოდ გამოფენისთვის შერჩეული ნამუშევრების, არამედ ლევან მოსიაშვილის მთელი შემოქმედების ორი მთავარი მახასიათებელი: ქართული ხალხური ფესვები და ის ნათელი, გულთა, კეთილი განწყობილება, რომელსაც ნახატები ქმნიან. ისინი ხომ სიყვარულზეა: ბუნების სიყვარულზე, გარემომოყოფთა მიმართ სიყვარულზე, შრომის, სიცოცხლის, ფერის სიყვარულზე. მხატვარს ამ სიყვარულის თითოეულ დამთვალეობებთან გაზიარება სურს.

ვევინია კონკოვა
რუსულიდან თარგმნა ლაშა გველესიანმა



“ოკეანე, წითელი თევზები”, შერეული ტექნიკა. 60x80, 2012



“წითელი მთები”, შერეული ტექნიკა. 80x80, 2012



“ღამის სიზმარი”, შერეული ტექნიკა. 110x100, 2012

რაც ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს;
მუშა მიწყევ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.

შოთა რუსთაველი. “ვეფხისტყაოსანი”